იურიდიული
დახმარების
სამსახური

ადამიანით ვაჭრობა (ტრეფიკინგი)



რა არის ადამიანით ვაჭრობა (ტრეფიკინგი) და რა ფორმებშია ის გამოხატული?

ადამიანით ვაჭრობა (ტრეფიკინგი) სისხლის სამართლის დანაშაულია, რომლის მიზანია ადამიანის ექსპლუატაცია. ტრეფიკინგი მძიმე დანაშაულთა კატეგორიას მიეკუთვნება.

ადამიანის ექსპლუატაცია შესაძლოა შემდეგ ფორმებში იყოს გამოხატული:

- შრომითი ექსპლუატაცია;
- სექსუალური ექსპლუატაცია;
- ორგანოთა ტრანსპლანტაციის მიზნით ადამიანებით ვაჭრობა;
- არასრულწლოვანის ექსპლუატაცია.

ტრეფიკინგის გამომწვევი მიზეზებია:

- მძიმე სოციალური და ეკონომიკური მდგომარეობა, უმუშევრობის მაღალი დონე, სამუშაო ადგილების სიმცირე ქვეყანაში, რომელიც აიოლებს მსხვერპლის გადაბირების პროცესს, სხვა ქვეყანაში გადაყვანას და მის ექსპლუატაციას;
- ტრეფიკინგის წინააღმდეგ ბრძოლის მექანიზმების სისუსტე, რაც ასევე ხელს უწყობს ადამიანით ვაჭრობის პროცესს ქვეყანაში;
- ტექნოლოგიების გამოყენება ადამიანის გადასაბირებლად, ყალბი ინტერნეტ გვერდების შექმნით და სხვადასხვა შეთავაზებების გაკეთებით.

როგორ ხდება ტრეფიკინგი და რა სტადიებია მისთვის დამახასიათებელი

I სტადია: **მსხვერპლის გადაბირება**

ეს შესაძლოა მოხდეს ნაცნობ-მეგობრების საშუალებით, სარეკლამო განცხადებების გამოყენებით, ასევე, კრიმინალური მეთოდებით - მოტაცებით, დაშინებით, მოტყუებით დასაქმების კარგი პირობების შესახებ.

II სტადია: **მსხვერპლის გადაყვანა დანიშნულების ადგილზე**

აქ მნიშვნელოვანია იმის აღნიშვნა რომ საქართველოს კანონმდებლობით, მსხვერპლის უცხოეთში გადაყვანა არ არის სისხლის სამართლის დევნის დაწყებისთვის აუცილებელი პირობა, მოქმედი კანონმდებლობით აღიარებულია ქვეყნის შიგნით ადამიანებით ვაჭრობა. თუ მსხვერპლის გადაყვანა მოხდა სხვა ქვეყანაში, ეს იქნება დანაშაულის დამამძიმებელი გარემოება.

III სტადია: **მსხვერპლის ექსპლუატაცია**

ეს არის ტრეფიკინგის დანაშაულის მიზანი და ერთ-ერთი განმსაზღვრელი გარემოება ამ დანაშაულის კვალიფიკაციისათვის.

რა არის არასრულწლოვანით ტრეფიკინგი?

ამ ტიპის ტრეფიკინგის* მიზანია არასრულწლოვანის ექსპლუატაცია. ეს შეიძლება გამოხატული იყოს არასრულწლოვანის შრომითი და სექსუალური ექსპლუატაციის ფორმით, ორგანოთა ტრანსპლანტაციით, ბავშვთა პროსტიტუციით, პორნოგრაფით, სექსტურიზმში ჩართვით.

არასრულწლოვანის ჩართვა ტრეფიკინგში ხდება მოტყუებით ან მიმზიდველი პირობების შეთავაზებით. მუქარა, იძულება ან დანაშაულის სხვა საშუალებების გამოყენება არასრულწლოვანით ვაჭრობის დანაშაულის კვალიფიკაციისათვის აუცილებელი არ არის. სისხლის სამართლის დევნის დასაწყებად მთავარია არსებობდეს არასრულწლოვანის ექსპლუატაციის მიზანი.

* სისხლის სამართლის კოდექსის 143 სეკუნდა მუხლით გათვალისწინებული დანაშაული

რა განსხვავებაა ტრეფიკინგსა და არალეგალურ მიგრაციას შორის?

- ტრეფიკინგი ადამიანის ექსპლუატაციას გულისხმობს, ხოლო არალეგალური მიგრაცია სხვა ქვეყნის ტერიტორიაზე მიგრანტთა უკანონო გადაყვანის ხელშეწყობას;

- ტრეფიკინგი მსხვერპლის გადაბირებას და მისთვის მცდარი ინფორმაციის მიწოდებას გულისხმობს მისი თანხმობის მისაღწევად, ხოლო არალეგალური მიგრაციისას მიგრანტი თანახმაა მის მიერ არალეგალური ხერხების გამოყენებაზე და ძირითად შემთხვევებში, თავად ეძებს გადამყვანს, რომელთან ურთიერთობაც სრულდება საზღვარზე გადასვლის შემდეგ. რაც შეეხება ტრეფიკინგს, მსხვერპლსა და ადამიანით მოვაჭრეს შორის ურთიერთობა კი არ სრულდება, არამედ მისი ექსპლუატაცია იწყება დანიშნულების ადგილზე მისი გადაყვანის შემდეგ.

- ტრეფიკინგი ადამიანის უფლებების წინააღმდეგ მიმართული დანაშაულია, ხოლო მიგრანტთა საზღვარზე უკანონო გადაყვანა სახელმწიფოს წინააღმდეგ მიმართული დანაშაულია და გამოიხატება საიმიგრაციო პროცედურების დარღვევაში. შესაბამისად, ტრეფიკინგისათვის დაწესებული სანქციები უფრო მკაცრია, ვიდრე მიგრანტთა საზღვარზე უკანონო გადაყვანისათვის.

რა პროცედურების გავლაა საჭირო მსხვერპლის სტატუსის მისაღებად?

- მსხვერპლს შეუძლია მიმართოს სამართალდამცავ ორგანოს, ან სამართალდამცავი ორგანოს მიერ ტრეფიკინგის გამოძიების დაწყების შემდეგ მსხვერპლს მიენიჭოს სტატუსი, სისხლის სამართლის საპროცესო კანონმდებლობით დადგენილი წესით;
- მსხვერპლს შეუძლია მიმართოს სსიპ სახელმწიფო ზრუნვისა და ტრეფიკინგის მსხვერპლთა დაცვის სააგენტოს დახმარებისათვის. სააგენტოს მობილური ჯგუფი მსხვერპლთან ინტერვიუს შემდეგ, ინფორმაციას მიაწოდებს ამ მიზნით შექმნილ მუდმივმოქმედ ჯგუფს, რომელიც მიმართვიდან 48 საათის განმავლობაში იღებს გადაწყვეტილებას მსხვერპლის სტატუსის მინიჭების (ან სტატუსის მინიჭებაზე უარის) შესახებ.

რა სერვისები არსებობს ტრეფიკინგის მსხვერპლთათვის?

- უფასო სამედიცინო, ფსიქოლოგიური, იურიდიული დახმარება
- თავშესაფრით მომსახურება (მოქმედებს 2 თავშესაფარი: თბილისსა და ბათუმში)
- კომპენსაცია 1000 ლარის ოდენობით
- მსხვერპლთა რეაბილიტაცია და რეინტეგრაცია
- უცხოელ მსხვერპლთათვის უფასო სამართლებრივი პროცედურებით დახმარება

უფასო იურიდიული დახმარების ცხელი ხაზი:

1485 ან 032 292 00 55

ელ-ფოსტა: info@legalaid.ge

ვებ-გვერდი: www.las.ge

www.children.las.ge

ბროშურა მომზადდა **იურიდიული დახმარების სამსახურის** მიერ **USAID სამართლის უზენაესობის პროგრამის** მხარდაჭერით. პროგრამას ახორციელებს **აღმოსავლეთ-დასავლეთის მართვის ინსტიტუტი** (EWMI) **ამერიკის შეერთებული შტატების საერთაშორისო განვითარების სააგენტოს** (USAID) დაფინანსებით.

ბროშურის შინაარსზე სრულად პასუხისმგებელია **იურიდიული დახმარების სამსახური** და მასში გამოთქმული მოსაზრებები შესაძლოა არ ასახავდეს ზემოთ ნახსენები საერთაშორისო ორგანიზაციების შეხედულებებს.

USAID
ამერიკელი ხალხისგან

EAST • WEST MANAGEMENT INSTITUTE

USAID სამართლის უზენაესობის პროგრამა
USAID RULE OF LAW PROGRAM

მობილური აპლიკაცია: